ხელშეკრულება №17

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

8 აგვისტო 2011 წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის **"№84-ე საშუალო სკოლა"** (შემდგომში- "შემსყიდველი") მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი ყიფსიძის** სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ ნიკოლოზ გურასაშვილი** (შემდგომში- "მიმწოდებელი")მისი დირექტორი **ნიკოლოზ გურასაშვილი-ის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია №84 საჯარო სკოლის მიერ **სამეურნეო საქონლის შესყიდვა** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკება.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია **სამეურნეო საქონლის**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 103ლარი დ.ღ.გ-ის ან სასაქონლო ზედნადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 4 დღის ვადაში "შემსყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, წურწუმიას ქ. №17.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 "მიმწოდებელთან" ანგარისსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - (ლარებში).

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან <u>უნაღდო</u> ანგარიშსწორებით.

7.3 ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 4 დღისა

7.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი-თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

"შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

"მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

- მიაწოდოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება შესაბამისად სამოქალაქო კოდექსი.

9.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 16 აგვისტომდე

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" წუნდების მიზეზების მითითებით წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობებს "მიმწოდებელს".

14.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ თბილისის №84-ე საჯარო სკოლა

მისამართი: თბილისი,წურწუმიასქ.№17.

.

საბანკო რეკვიზიტებია:

ს/ს ლიბერთი ბანკი, ისანი 4

ბ. LBRTGE22

ა.ა 34084113677

ს.კ 206031667

ირაკლი ყიფშიძე

"მიმწოდებელი"

ი/მ ნიკოლოზ გურასაშვილი

მის:ხოშარაულისა და ელიავას ქუჩების მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და მახუშტის ხიდს შორის ნაკვეთი №10

საბანკო რეკვიზიტებია:

ს/ს საქართველოს ბანკი

ბ.კ BAGAGE22

ა.ა234599300

ს.კ 01034000853

ნიკოლოზ გურასაშვილი

სკოლის დირექტორი

მოვალეობის შემსრულებელი:

ი/მ ხემძღვანელი:

სასაქონლო ზედნადები№

I ნაწილი

დანართი№ 1-01

2 | 8 (რიცხვი) | აგვისტო (თვე (სიტყვიერად)) | 2011 (წელი)

3	01034000853	4	206031667
გამყიდველის (გამგზავნის)	საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი	მყიდველის (მიმღების)	საიდენტიფიკაციო ან პირადი ნომერი
დასახელება ან სახელი და გვარი		დასახელება ან სახელი და გვარი	

5 | ოპერაციის მნიშვნელობა: მიწოდება / გაფაბიდვა / დისტრიბუცია

6 | ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი ხოშარაულისა და ელიავას ქუჩებს და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის ნაკვეთი №10

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

7 | ბულ წინ 117

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

8 |

საგრანსპორტო საშუალების მარკა, ნომერი

9 |

III ნაწილი მძღოლის პირადი ნომერი

II ნაწილი

№	I საქონლის დასახელება	II ზომის ერთეული	III რაოდენობა	IV ერთეულის ფასი	V თანხა
1	ფერადი სახუალი	ერ	7	1.2	84.0
2	ფერადი გადმკვანი	ერ	2	2.00	4.00
3	ფრუტი 5/45.	ერ	3	0.05	15.00
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					

გამოიყენება მხოლოდ დისტრიბუციის წესით მიწოდებისას !!!

მიწოდების თარიღი: საათი	წუთი	მიიღო: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა	ჩააბარა: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ხელმოწერა	საქონლის გადაცემის საფუძველი (ზედნადები; უკან დაბრუნება)
VI		VII	VIII	IX

ნაღდი	უნაღდო	კონსიგნაცია

10 | 103.00 | ას სამი ლარ

ჯამი — თანხა სულ (სიტყვიერად)

11 | ნიკა ბერაძე

გამყიდველი(გამგზავნი)-თანამდებობა, სახელი და გვარი

12 |

ხელმოწერა — შტამპი (ბეჭედი)

13 |

მყიდველი(მიმღები)- თანამდებობა, სახელი და გვარი

14 |

ხელმოწერა — შტამპი (ბეჭედი)

15 | 8 | 2011

მიღება-ჩაბარების აქტი

8 აგვისტო 2011 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერრნი, ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ თბილისის №84 საჯარო სკოლა (შემდგომში-"დამკვეთი) მისი დირეცტორს ირაკლი ყიფშიძე სახით და მეორეს მხრივ, ი/მ **ნიკოლოზ გურასაშვილი"**-ის (შემდგომში-"მიმწოდებელი") მისის დირექტორის ნიკოლოზ გურასაშვილი სახით, ვადგენთ აქტს მასზედ,რომ შესრულებულია 2011წლის **8 აგვისტო** დადებული **№17** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ **სამეურნეო საქონლის** შესყიდვა **103 ლარის ღირებულებით**

აქტი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით მხარეები.

დამკვეთი :

მიმწოდებელი: